კონსტრუქციული დასკვნა
არსებული შენობის მდგრადობის შესახებ.

დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქ. თბილისში, იყალთოს გორა №44ა-ში.

შენობა სწორკუთხა ფორმისაა ზომებით 22.5X18.5მ.

შენობა ცხრასართულიანია, მიწისქვეშა ავტოფარეხის დამატებით.

სართულის სიმაღლე H=3.2მ.

სეისმიურობა 8 ბალი.

კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკ. ბეტონის კარკასულ ვარიანტში, გააჩნია დიაფრაგმა.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები R=45 კგძ/სმ²

საძირკვლები წერტილოვანია, 2X2; 1.8X1.8მ. შეკრულია რკ.ბეტონის რანდკოჭებით კვ. 50X50სმ. დიფრაგმის ქვეშ 60X60სმ.

სვეტები რკ. ბეტონის მონოლითური კვ. 50X70სმ. 50X60სმ. 50X50სმ;

რიგელები რკ. ბეტონის მონოლითური კვ. 50X50(h) სმ.

სართულშუა ფილა მონოლითური - h=18სმ

კიბე - რკ.ბეტონის მონოლითური.

სახურავი - ბრტყელი

მშენებლობის პროცესში ქვაბულის გახსნის დროს ვიზუალური დათვალიერების შემდეგ დამუშავდა მიმდებარე ორსართულიანი სახლის გასამაგრებელი საპროექტო ნახაზები;

კერძოდ, არსებული შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია კარკასულ ვარიანტში, საძირკველი დაფუძნებულია ძირითად ქანებზე საძირკვლის ტიპი ლენტურ კოჭოვანია.

არსებული შენობის უსაფრთხოების მიზნით განხორციელდა არსებული სვეტების ქვეშ რკ. ბეტონის ტუმბოების მოწყობა მშენებარე შენობის საძირკვლის ძირის ნიშნულამდე.

ასევე გაძლიერდა მიმდებარე აგურის წყობით აშენებული ღობე. ღობეზე მოეწყო რკ. ბეტონის დამჭერი პილონები რომელიც ასევე დაფუძნდა იგივე ნიშნულზე.

შესაბამისად გაცემული პროექტის თანახმად, ახალი მშენებარე შენობის საძირკვლები დაშორებულია დასაშვები მანძილით და შემდგომში ვითარდება კონსოლების საშუალებით.

მშენებლობისა და შემდგომი ექსპლოატაციის პირობებში გამოირიცხება ზიანი ზემოქმედება.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების საფუძველზე შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და დაცულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები

გამაგრების პროექტი თან ერთვის ძირითად კონსტრუქციებს.

კონსტრუქტორები; თ მშველიძე

მ. დუმბაძე